

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

I თავი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებიდან და მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის და მიღწეული შედეგების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

ბიუჯეტის შესრულების დაგეგმილ მაჩვენებელთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, გრძელდება პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების - საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების გათვალისწინება (მათ შორის შედეგების შეფასების ნაწილში გენდერული ინდიკატორები).

1) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	21 587,2	14 666,8	6 920,4	23 116,6	16 230,1	6 886,5
გადასახადები	10 160,0	10 160,0	-	10 691,7	10 691,7	-
გრანტები	10 160,4	3 240,0	6 920,4	10 126,5	3 240,0	6 886,5
სხვა შემოსავლები	1 266,8	1 266,8	-	2 298,4	2 298,4	-
II. ხარჯები	13 113,7	12 831,2	282,5	11 497,4	11 236,8	260,6

შრომის ანაზღაურება	2 302,3	2 302,3	-	2 142,3	2 142,3	-
საქონელი და მომსახურება	3 786,7	3 631,0	155,7	2 961,2	2 805,5	155,7
პროცენტი	39,9	39,9	-	39,9	39,9	-
სუბსიდიები	4 979,9	4 979,9	-	4 499,7	4 499,7	-
გრანტები	85,0	85,0	-	85,0	85,0	-
სოციალური უზრუნველყოფა	1 378,0	1 378,0	-	1 335,8	1 335,8	-
სხვა ხარჯები	541,9	415,1	126,8	433,5	328,6	104,9
III. საოპერაციო საღდო	8 473,5	1 835,6	6 637,9	11 619,2	4 993,3	6 625,9
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	12 436,2	5 080,7	7 355,5	10 055,3	3 487,8	6 567,5
ზრდა	12 546,2	5 190,7	7 355,5	10 193,0	3 625,5	6 567,5
კლება	110,0	110,0	-	137,7	137,7	-
V. მთლიანი საღდო	- 3 962,7	- 3 245,1	- 717,6	1 563,9	1 505,5	58,4
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 4 043,2	- 3 325,6	- 717,6	1 483,4	1 425,0	58,4
ზრდა	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	-	-	-
კლება	4 043,2	3 325,6	717,6	- 1 483,4	- 1 425,0	- 58,4
ვალუტა და დეპოზიტები	4 043,2	3 325,6	717,6	- 1 483,4	- 1 425,0	- 58,4
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 80,5	- 80,5	-	- 80,5	- 80,5	-
კლება	80,5	80,5	-	80,5	80,5	-
საშინაო	80,5	80,5	-	80,5	80,5	-
სესხები	80,5	80,5	-	80,5	80,5	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	-
VIII. ბალანსი	-	0,0	-	0,0	- 0,0	-

2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	21 697,2	14 776,8	6 920,4	23 254,3	16 367,8	6 886,5	107,2	110,8	99,5
შემოსავლები	21 587,2	14 666,8	6 920,4	23 116,6	16 230,1	6 886,5	107,1	110,7	99,5
არაფინანსური	110,0	110,0	-	137,7	137,7	-	125,2	125,2	-

აქტივების კლება									
გადასახდელები	25 740,4	18 102,4	7 638,0	21 770,9	14 942,8	6 828,1	84,6	82,5	89,4
ხარჯები	13 113,7	12 831,2	282,5	11 497,4	11 236,8	260,6	87,7	87,6	92,2
არაფინანსური აქტივების ზრდა	12 546,2	5 190,7	7 355,5	10 193,0	3 625,5	6 567,5	81,2	69,8	89,3
ვალდებულებების კლება	80,5	80,5	-	80,5	80,5	-	100,0	100,0	-
ნაშთის ცვლილება	- 4 043,2	- 3 325,6	- 717,6	1 483,4	1 425,0	58,4	- 36,7	- 42,8	- 8,1

ა) საგადასახადო შემოსავლები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
დამატებული ღირებულების გადასახადი	1 260,0	1 274,4	101,1
ქონების გადასახადი	8 900,0	9 417,3	105,8
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	8 730,0	8 658,9	99,2
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3,0	377,3	12 576,7
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2,0	14,5	725,0
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	82,0	83,2	101,5
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	83,0	283,4	341,4
გადასახადები სულ	10 160,0	10 691,7	105,2

ბ) გრანტები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	240,0	240,0	100,0
კაპიტალური ტრანსფერი	6 860,4	6 848,4	99,8
გათანაბრებითი ტრანსფერი	3 000,0	3 000,0	100,0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	60,0	38,1	63,5
გადასახადები სულ	10 160,4	10 126,5	99,7

N	თანხა	გრანტის გამომყოფი	გრანტის სახე	გრანტის მიზნობრიობა	გრანტის გამოყოფის საფუძველი	გამოყოფის თარიღი
1	240,0	ცენტრალური ხელისუფლება	მიზნობრივი ტრანსფერი	დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად	2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ	15.12.2021 წელი

					კანონი	
2	190,8	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	სოფ.კარწახის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	17.01.2022 წლის # 75 მთავრობის განკარგულება	17.01.2022 წლის
3	1175,9	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ლომატურცხი ბურნაშეთამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია, ბურნაშეთის სკოლამდე	17.01.2022 წლის # 75 მთავრობის განკარგულება	17.01.2022 წლის
4	1012,2	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქის ს/გზიდან სოფ.ხანდო-სოფ.ვარევანის საჯარო სკოლამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია	17.01.2022 წლის # 75 მთავრობის განკარგულება	17.01.2022 წლის
5	974,7	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ახალქალაქი-კარწახის შიდა სახლემწიფოებრივი გზიდან სოფ. დადეშამდე სასოფლო გზის რეაბილიტაცია	17.01.2022 წლის # 75 მთავრობის განკარგულება	17.01.2022 წლის
6	609,9	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	ახალქალაქი-კარწახი (თურქეთის საზღვარი) ს/გზიდან სოფ.ოკამი-სოფ.ქარცევის გზის კმ 12+220 - კმ 13+420 მონაკვეთის რეაბილიტაცია	17.01.2022 წლის # 75 მთავრობის განკარგულება	17.01.2022 წლის
7	253,6	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	ქ. ახალქალაქში მასივ ჟივანის ჩიხისა და მარქარიანის ჩიხის რეაბილიტაცია	17.01.2022 წლის # 75 მთავრობის განკარგულება	06.05.2022 წლის
8	394,6	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	სოფ. მურჯახეთის მისასვლელი საავტომობილო გზაზე მდებარე სახიდე გადასასვლელის მოწყობა	25.05.2022 წლის #926 მთავრობის განკარგულება	25.05.2022 წლის
9	527,4	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	სოფ.აბული - კარტიკამის სასოფლო გზის რეაბილიტაცია (ბეტონის საფარი)	17.01.2022 წლის # 75 მთავრობის განკარგულება	05.08.2022 წლის

					ბა	
10	533,0	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	სოფ.ქარცევი-აფნიას გზის რეაბილიტაცია (ვარძის ხევამდე)	17.01.2022 წლის # 75 მთავრობის განკარგულება	05.08.2022 წლის
11	922,0	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	15.02.2022 წლის #277 მთავრობის განკარგულება	15.02.2022 წლის
12	155,7	ცენტრალური ხელისუფლება	მიზნობრივი ტრანსფერი	საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის.	14.01.2022 წლის #51 მთავრობის განკარგულება	14.01.2022 წლის
13	110,6	ცენტრალური ხელისუფლება	მიზნობრივი ტრანსფერი	საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის.	14.01.2022 წლის #51 მთავრობის განკარგულება	14.01.2022 წლის
14	3000,0	ცენტრალური ხელისუფლება	სპეციალური ტრანსფერი	მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის სახებ. ფინანსური დახმარება	28.02.2022 წლის #368 მთავრობის განკარგულება	28.02.2022 წლის
15	60,0	ცენტრალური ხელისუფლება	სპეციალური ტრანსფერი	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე. ქ.ახალქალაქში, ყოფილ 1-ლ სამხედრო ქალაქში #455 კორპუსის დაზიანებული სახურავის შესაკეთებლად	28.07.2022 წლის #1352 მთავრობის განკარგულება	28.07.2022 წლის

გ) სხვა შემოსავლები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
შემოსავლები საკუთრებიდან	635,8	916,4	144,1
პროცენტები	400,0	455,0	113,8
რენტა	235,8	461,4	195,7
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	371,0	861,5	232,2
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	349,0	835,1	239,3
სანებართვო მოსაკრებელი	7,0	18,8	268,6

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	7,0	8,2	117,1
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	300,0	727,7	242,6
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	35,0	55,8	159,4
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი		24,6	
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	22,0	26,4	120,0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	260,0	520,5	200,2
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	-		
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე			
გადასახადები სულ	1266,8	2 298,4	181,4

დ) არაფინანსური აქტივების კლება

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	30,0	62,9	209,6
არაწარმოებული აქტივები	80,0	74,8	93,5
მიწა	80,0	74,8	93,5
არაფინანსური აქტივების კლება	110,0	137,7	125,2

ე) ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
შრომის ანაზღაურება	2 302,3	2 142,3	93,1
საქონელი და მომსახურება	3 786,7	2 961,2	78,2
პროცენტები	39,9	39,9	100,0
სუბსიდიები	4 979,9	4 499,7	90,4
გრანტები	85,0	85,0	100,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 378,0	1 335,8	96,9
სხვა ხარჯები	541,9	433,5	80,0
ხარჯები სულ	13 113,7	11 497,4	87,7

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდა

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	12 546,2	10 193,0	81,2
არაფინანსური აქტივების ზრდა	12 546,2	10 193,0	81,2

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

პროგრამული კოდი	დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი

01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	654,2	426,5	65,2
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	10 975,1	9 066,8	82,6
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	0,0	0,0	0,0
04 00	განათლება	890,9	673,8	75,6
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	26,0	25,9	99,6
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0

ზ) ვალდებულებები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
საშინაო კრედიტორები	80,5	80,5	100.00
ვალდებულებების კლება	80,5	80,5	100.00

ვალდებულებების კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წლის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებულ სესხის (დასუფთავების 3 სპეც ტექნიკა და 100 ურნა) დაფარვას. მგფ-ის მიმართ მუნიციპალიტეტის სასესხო დავალიანება 2021 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 201,2 ათას ლარს, ხოლო 2022 წელს დასაფარი დავალიანება შეადგენს 80,5 ათას ლარს.

თ) ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 1 483,4 ათასი ლარის ოდენობით

ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 1 483,4 ათასი ლარი

(ათას ლარებში)

ფინანსური აქტივების ზრდა	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტიური შესრულება
	0,0	1 483,4
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	1 483,4

*ვალუტა და დეპოზიტებში 1 483,4 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის დაგროვებას.

ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 0,0 ათასი ლარი

(ათას ლარებში)

ფინანსური აქტივების კლება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტიური შესრულება
	4 043,2	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	4 043,2	0,0

ი) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთები

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა **4056,9** ათასი ლარი, აღნიშნული ნაშთიდან 717,6 ათასი ლარი სახ. ბიუჯეტიდან, 1060,2 ათასი ლარი შეადგენს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გასული წლის ვალდებულების დასაფარავად არსებულ ნაშთს, 2279,1 ათასი ლარი კი წარმოადგენდა თავისუფალ ნაშთს.

აღნიშნული სახსრები მიზნობრიობა შემდეგია:

დასახელება	თანხა
სახელმწიფო ბიუჯეტიდან	717,6
ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვალდებულებების დასაფარავად	1060,2
თავისუფალი ნაშთი	2279,1
სულ 01.01.2022 წლის მდგომარეობით ნაშთი	4056,9


ი) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	პროცენტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5 054,9	4 325,4	85,6
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 934,5	4 285,5	86,8
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 867,6	4 285,5	88,0
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	66,9	-	-
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	120,4	39,9	33,1
7.2	თავდაცვა	158,7	143,9	90,7
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	158,7	143,9	90,7
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	6 685,7	5 756,2	86,1
7.4.5	ტრანსპორტი	6 685,7	5 756,2	86,1
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	6 685,7	5 756,2	86,1
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	-	-	-
7.5	გარემოს დაცვა	957,4	890,0	93,0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	957,4	890,0	93,0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	5 981,7	4 431,0	74,1
7.6.1	ბინათმშენებლობა	-	-	-

7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	-	-	
7.6 3	წყალმომარაგება	1 185,2	693,0	58,5
7.6 4	გარე განათება	422,0	335,4	79,5
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	4 374,5	3 402,6	77,8
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	275,2	271,7	98,7
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	275,2	271,7	98,7
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 825,0	1 660,1	91,0
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	927,5	799,7	86,2
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	845,6	814,9	96,4
7.8 3	ტელერადიომალწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	51,9	45,5	87,7
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	-	-	
7.9	განათლება	3 394,2	2 832,0	83,4
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	3 085,8	2 538,7	82,3
7.9 2	ზოგადი განათლება	308,4	293,3	95,1
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	308,4	293,3	95,1
7 10	სოციალური დაცვა	1 422,9	1 380,1	97,0
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	66,1	56,9	86,1
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	-	-	
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	563,2	560,9	99,6
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	45,0	36,4	80,9
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	748,6	725,9	97,0
	სულ	25 755,7	21 690,4	84,2

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 21 770,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (25 740,4 ათასი ლარი) 84,6 პროცენტია. აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს ნაკლებია 16 774,9 ათასი ლარით, ხოლო 2020 წლის შედარებით ნაკლებია - 19698,3 ათასი ლარით.



პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:

ხარჯების სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით			
პროგ. კოდი	დასახელება	2022 ფაქტი	%
სულ	მუნიციპალიტეტის ასიგნებები	21 770,9	84,6
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4 549,8	87,3
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	10 187,2	80,5
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	890,0	93,0
04 00	განათლება	2 832,0	83,4
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1 660,1	91,0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 651,8	97,3

1) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

საანგარიშო წელს მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 4 549,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (5 213,6 ათასი ლარი) 87,3 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 1 073,8 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 3 211,7 ათასი ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (დელეგირებული ფუნქცია) -

143,9 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერით დაფინანსდა 139,1 ათასი ლარი) 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან (გეგმა-200,0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით გახარჯულია 130,2 ათასი ლარი. მათ შორის:

N	ორგან.კოდი	ბრძანების ნომერი	ხარჯის დანიშნულება	თანხა
1	მგფ-ისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	ბ116. 1162229111 მერის ბრძ. 19/10/2022	უკრაინაში დაზარალებული მოსახლეობისათვის საკვები პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების პროდუქციის შექმნა	8 583
2	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია	116.116220632 მერის ბრძ. 04/03/2022	უკრაინაში დაზარალებული მოსახლეობისათვის საკვები პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების პროდუქციის შექმნა	9 981
3	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	ბ116.116221107 მერის ბრძ. 20/04/2022	სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურება	0,0
4	გზების მოვლა შენახვის ხარჯები	ბ116.116220803 მერის ბრძ. 23/03/2022	სოფლის გზების თოვლისაგან გაწმენდა	9 484
5	ფინანსური დახმარება ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად	ბ116. 116223619 მერის ბრძ. 27/12/2022	სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურება	931
6	ფინანსური დახმარება ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად	ბ116. 116223481 მერის ბრძ. 14/12/2022	სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურება	2 825
7	ფინანსური დახმარება ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად	ბ116.116222554 მერის ბრძ. 12/09/2022	სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურება	6 336
8	ფინანსური დახმარება ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად	:ბ116.116222553 მერის ბრძ. 12/09/2022	სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურება	7 328
9	ფინანსური დახმარება ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად	ბ116.116221953 მერის ბრძ. 14/07/2022	ზარალის ასანაზღაურებლად მლიერი სეტყვის შედეგად	18 925
10	ფინანსური დახმარება ოჯახების საბინაო	ბ116.116221826 მერის ბრძ. 01/07/2022	სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული	511

	პირობების გასაუმჯობესებლად		ზარალის ანაზღაურება	
11	ფინანსური დახმარება ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად	ბ116.1162216827 მერის ბრძ. 17/06/2022	ზარალის ასანაზღაურებლად ძლიერი სეტყვის შედეგად	528
12	ფინანსური დახმარება ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად	ბ116.116221107 მერის ბრძ. 20/04/2022	ზარალის ასანაზღაურებლად ძლიერი სეტყვის შედეგად	64 577
13	ფინანსური დახმარება ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად	ბ116.116221049 მერის ბრძ. 14/04/2022	ზარალის ასანაზღაურებლად ძლიერი სეტყვის შედეგად	210
	სულ:			130219

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის მომსახურებაზე გაიწია 120,4 ათასი ლარი, მათ შორის ძირითადი ვალდებულება შემცირდა 80,5 ათასი ლარით, მომსახურების პროცენტმა შეადგინა 39,9 ათასი ლარი,

2) ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 10 187,2 ათასი ლარით, რაც გეგმის (12 652,1 ლარის) 80,5 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

პროგრამ ული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	12 652,1	10 187,2	80,5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	6 670,4	5 756,2	86,3
02 01 01	გზების რეაბილიტაცია	5 826,2	5 111,0	87,7
02 01 02	გზების მოვლა შენახვის ხარჯები	844,2	645,2	76,4
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 185,2	693,0	58,5
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	1 150,8	670,6	58,3
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	34,4	22,4	65,1
02 03	გარე განათება	422,0	335,4	79,5

02 03 01	გარე განათების რეაბილიტაცია	314,1	246,2	78,4
02 03 02	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	107,9	89,2	82,7
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	3 130,2	2 327,0	74,3
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	3 130,2	2 327,0	74,3
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	307,5	224,1	72,9
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	936,8	851,5	90,9

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

2022 წლის განმავლობაში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში დაიგო 13 კმ ასფალტის ასევე ქალაქისა და სოფლების გზების მოვლა შენახვა.

ბიუჯეტიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

- ს. კუმურდოში სკოლამდე მისასვლელი გზის საფეხმავლო ბილიკის რეაბილიტაცია
- ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ლომატურცხი– ბურნაშეთამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია, ბურნაშეთის სკოლამდე
- ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქის ს/გზიდან სოფ.ხანდო-სოფ.ვარევანის საჯარო სკოლამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია
- ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ახალქალაქი-კარწახის შიდა სახლემწიფოებრივი გზიდან სოფ. დადემამდე სასოფლო გზის რეაბილიტაცია
- ახალქალაქი-კარწახი (თურქეთის საზღვარი) ს/გზიდან სოფ.ოკამი-სოფ.ქარცეპის გზის კმ 12+220 - კმ 13+420 მონაკვეთის რეაბილიტაცია
- სულდა- მისანიკიანი, ერინჯა, დავნია, ხავეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია
- ქ. ახალქალაქში მასივ ჟივანის ჩიხისა და მარქარიანის ჩიხის რეაბილიტაცია
- სოფ.აბული - კარტიკამის სასოფლო გზის რეაბილიტაცია (ბეტონის საფარი)
- სოფ.ქარცევი-აფნიას გზის რეაბილიტაცია (ვარძიის ხევამდე)
- დაზიანებული ასფალტ ბეტონის საფარის ორმოული შეკეთება
- ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლის გზების მოხრეშვა
- სასოფლო გზების თოვლისგან გაწმენდა

საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები					
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2021 საბაზისო მაჩვენებელი	2022 დადგეგმილი მაჩვენებელი	2022 მიღწეული მაჩვენებელი	ცთომილება	ცთომილების განმარტება
ასფალტირებული ქუჩების საერთო ფართობი	119	17 კმ	13 კმ	4 კმ	უამონდობის გამო
დაზიანებული ა/ბეტონის საფარის შეკეთების ფართობი	10500 მ ²	10481 მ ²	8687 მ ²	1794 მ ²	უამონდობის გამო
მუნიციპალიტეტის სოფლის გზების მოსწორების ფართობი	120 კმ	130კმ	130 კმ	0	
სრულად გაწმენდილი ქუჩების რაოდენობა	600 კმ (2021 წ)	600 კმ			

ბ.ა) წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლების სასმელი წყლის სათავე-ნეგებობის რეაბილიტაცია, სოფლად ახალი ჭაბურღილების გაწმენდა და ახალი წყალმომარაგების სისტემით უზრუნველყოფა;

2022 წელს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ქალაქისა და 4 სოფლებში განხორციელდება წყლის სისტემის რეაბილიტაცია

- სოფ.კარწახის წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები
- მუნიციპალიტეტში წყლის სისტემების რეაბილიტაცია (ს. ოლავერდი, პატარა სამსარი)
- ქ. ახალქალაქში და ყოფილი 1-ლი ს/ქალაქში მრავალ ბინიანი კორპუსების საკანალიზაციო სისტემების, ასევე ქ. ახალქალაქში საკანალიზაციო ჭიების თავშესაფარის რეაბილიტაცია.
- სოფ. სულდისა და დადემის სასმელი წლის სატუმბი სადგურის, შემკრები რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოსაწყობა
- ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბავრის ტერიტორიის მდებარე ტბის მოწყობა

ბ.ბ) წყლის სისტემის ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 02 02)

ააიპ „ ახალქალაქის სერვისცენტრის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:

- მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა;
- ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;

საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები					
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2021 საბაზისო მაჩვენებელი	2022 დადგენილი მაჩვენებელი	2022 მიღწეული მაჩვენებელი	ცთომილება	ცთომილების განმარტება
მუდმივი სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა	მუნიციპალიტეტის 28 სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის 80%	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის 100%	სრულად რეაბილიტირებული ავარიული წერტილები		
სასმელი წყლის ხარისხი აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს	სასმელი წყლის ხარისხის ნორმები დაცულია	სასმელი წყლის ხარისხის ნორმები დაცულია	სამელი წყლის ხარისხის ნორმები დაცულია		

გ ა) გარე განათების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქსელის მოვლა - პატრონობა და მოხმარებული ელ. ენერჯის ღირებულების დაფარვა.

2022 წელს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქში აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელი.

- გარე განათების ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება.
- ქ. ახალქალაქში ჯავახიშვილი ქუჩის გარე განათების მოწყობა

გ ბ) გარე განათების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 02)

მუნიციპალური ააიპ „სერვისცენტრის“ ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ახალქალაქში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;
- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;
- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2021 საბაზისო მაჩვენებელი	2022 დადგეგმილი მაჩვენებელი	2022 მიღწეული მაჩვენებელი	ცთომილება	ცთომილების განმარტება
გარე განათების წერტილების რაოდენობა	3480 ცალი	1780 ცალი	2000ცალი		
შეკეთებული სანათების რაოდენობა	საშუალოდ ხდება წლის განმავლობაში 60 ცალი	210 ცალი	230ცალი		
შეკეთებული, გამოცვლილი ბოძების რაოდენობა	საშუალოდ ხდება წლის განმავლობაში 10 ცალი	10ცალი	15ცალი		
შეკეთებული სადენების რაოდენობა	შეიცვალა 800 გრძივი მეტრი	შეიცვლება 1200 გრძივი მეტრი	1500 მეტრი		

დ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 06)

2022 წელს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქ ახალქალაქში განხორციელდება პარკების და მინი სპორტული მოედანების რეაბილიტაცია, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ, მუნიციპალურ ბალანსზე რიცხულ შენობების რეაბილიტაცია და სხვა მუშაობები.

პროექტებია:

- შექნიშნების ტექნიკური მომსახურებისათვის
- ახალქალაქის მუნიციპალიტეტში არსებული ზოგადი ხედვისა და სატრასპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი კამერების მოვლა-პატრონობის მომსახურებისათვის
- მუნიციპალურ ბალანსზე რიცხულ შენობებში გაზისა და ელექტროენერჯის მრიცხველების დაყენება
- ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ზოგადი ხედვის კამერების დაყენება
- სოფ. ბარალეთის კულტურის სახლის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი
- სოფ. ტურცხის ახალგაზრდების სახლის რეაბილიტაცია
- ქ. ახალქალაქში პირუტყვის ბაზარის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი
- ქ. ახალქალაქის „ჯივანის სახელობის“ სკვერის რეაბილიტაცია
- ქ. ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის ქუჩის მდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (შსს-ს მიმდებარე ტერიტორიაზე პარკირებისთვის)
- ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხეების მოჭრა-გასხვლა
- ქ. ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის ქუჩაზე საცხოვრებელი მასივი, 1-ლი ს/ქ-ის და დ.აღმაშენებლის ქ. N35, 37, 39 (ყოფილ ქარხნის) ტერიტორიაზე სპორტული ტრენაჟორების მოწყობა
- 2. ქ. ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის, მალხასიანის N2-ში, N მე-3 საბავშვო ბაღის მიმდებარედ ჭავჭავაძის ქუჩასა და 1-ლი ს/ქ/ის ტერიტორიაზე მინი სტადიონის რეაბილიტაცია
- შ.პ.ს. „ახალქალაქის სოფტექნიკის“ შენობის რეაბილიტაციისთვის

- ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერის შენობის რეაბილიტაცია
- ქ.ახალქალაქის ცენტრალურ პარკში, ახალი საბავშვო ატრაქციონის მოწყობა და არსებული ატრაქციონის შეკეთება
- ქ.ახალქალაქში, დარბინიანის ქუჩისა და თავისუფლების ქუჩის კვეთაზე არსებული ღობის კეთილმოწყობისთვის
- სოფ. მურჯახეთის მისასვლელი საავტომობილო გზაზე მდებარე სახიდე გადასასვლელის მოწყობა
- სოფ.ჩუნჩხის რიტუალების სახლის რეაბილიტაცია
- ქ. ახალქალაქში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე ჯივანის სახელობის სკვერის რეაბილიტაცია
- სოფ.კიროვაკანში ფანჩატურის რეაბილიტაცია
- ქ.ახალქალაქში წმ.ნინოს ქუჩაზე კიბის რეაბილიტაცია

ე) საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა (პროგრამული კოდი 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით

საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

შუალედური შედეგი (OUTPUT)	2021 საბაზისო მაჩვენებელი	2022 დადგენილი მაჩვენებელი	2022 მიღწეული მაჩვენებელი	ცთომილება	ცთომილების განმარტება
შესრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	გაკეთდა 90 -ზე მეტ პროექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	წინასწარი გათვლებით მომზადდება არანაკლებ 100 პროექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	90		
პროექტები, რომელთა სამუშაოების მიმდინარეობას გაეწია ზედამხედველობა	სამშენებლო ზედამხედველობა გაეწია 70-ზე მეტ სამშენებლო ობიექტს	წინასწარი გათვლებით სამშენებლო ზედამხედველობა გაეწევა არანაკლებ 75 პროექტს	70		

ვ) სოფლის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 09)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფლის მოსახლეობის საჭიროებისამებრ მოთხოვნილი სამუშაოები.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 890,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 93,0 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 838,8 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა და განვითარება დაფინანსდა 51,2 ათასი ლარით,

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	957,4	890,0	93,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	905,9	838,8	92,6
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	51,5	51,2	99,4
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	0,0	0,0	0,0

პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ახალქალაქის სერვისცენტრი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 6 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: კულიკამი, ხულგუმო, ბავრა, კორხი, თოთხამი, მაჯადია, მურჯახეთი, კუმურდო, ხოსპიო, გომანი, ჩამდურა, და ახალქალაქიდან კარწახამდე ფედერალური გზაზე არსებული 37 ცალი ნაგვის ურნა ქ. ახალქალაქიდან ბაქურიანის ფედერალური გზაზე არსებული 23 ნაგვის ურნა, ქ. ახალქალაქი-ახალციხის ფედერალური გზაზე არსებული 4 ცალი ნაგვის ურნა გატანა ნაგავსაყრელებზე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 90,5 მ/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 6 ნაგავმზიდი.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა, გაკირვა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა.

საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები					
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2021 საბაზისო მაჩვენებელი	2022 დადგეგმილი მაჩვენებელი	2022 მიღწეული მაჩვენებელი	ცთომი ლება	ცთომი ლების განმარ

					ტება
მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილი ნარჩენების რაოდენობა	არსებული მონაცემებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 85 მეტ.კუბი ნარჩენი.	არსებული მოცულობით გაგრძელება ყოველდღიურად 90,5 მეტ.კუბი ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან.	არსებული მოცულობით გაგრძელება ყოველდღიურად 90,5 მეტ.კუბი ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან		
ყოველდღიურად ნარჩენებისგან დაცლილი ურნების რაოდენობა	გასულ პერიოდში საშუალოდ წელიწადში ხორციელდებოდა 400 ურნის გაცლა	არსებული მოცულობით გაგრძელება ურნების დაცლა და ყოველდღიურად მოხდება 500 ურნის დაცლა	არსებული მოცულობით გაგრძელება ნარჩენების ურნების დაცლა და ყოველდღიურად მოხდება 500 ურნის დაცლა		
ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარჩენების განაშენიანების ფართობი	არსებული ფართობი 570 კვ/მეტრი	1000 კვ/მეტრამდე	1000-1200 კვ/მეტრი		
დარგულია ყვავილების და მრავალწლიანი ნარჩენების რაოდენობა	დაირგო 220 ძირი ნერგი	დაირგვება 30 ძირი ნერგი	დაირგვება 35 ძირი ნერგი		
გაცლილი ტერიტორიის ფართობი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (რამდენიმე ეტაპად)	გაიცელა 30000 კვ/მეტრი	გაიცელება 30000 კვ/მეტრი	გაიცელება 50000*ჰჯერ კვ/მეტრი		

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2022 წლის განმავლობაში დაფინანსდა 2 832,0 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 2 832,0 ათასი ლარი, 83,4 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 1 875,4 ათასი ლარი, საბავშვო ბაღების

მშენებლობა-რეაბილიტაციას მოხმარდა 663,3 ათასი ლარი. ხოლო საჯარო სკოლების დაფინანსებას (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) მოხმარდა 293,3 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
04 00	განათლება	3 394,2	2 832,0	83,4
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2 095,0	1 875,4	89,5
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	990,8	663,3	66,9
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	308,4	293,3	95,1

ა) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

